გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 12

ქ. წალენჯიხა 25 აპრილი 2016წელი

ერთის მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი,შემდგომში შემსყიდველი სასპორტო ცენტრის დირექტორის რ.ჭანიას სახით და მეორეს მხრივ ი/მ მარინა ფიფია“ ა/ა GE31LB0112134211214000 საინდეტიფიკაციო /კოდი 51001000305 მისამართი ქ. წალენჯიხა ქიაჩელის

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ – „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას
1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „ შემსყიდველმა“ მუნიციპალიტეტის , ასიგნების ფარგლებში გააფორმა ხელშეკრულება 2016 წლის 25 აპრილიდან 2016 წლის 31დეკემბრამდე, „მიმწოდებელთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით წალენჯიხის სასპორტო ცენტრს მიაწოდოს უალკოოჰლო სასმელები

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს ურთიერთშეთანხმებით.
3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მოცულობის საფუძველზე.
3.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს„დაკავშირებულს სამუშაოების შესრულებასთან,მათ შორის კანომდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს,მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1. „შემსყიდველის“ მიერ შეკვეთილი მომსახურების შესრულება უმოკლეს ვადაში.

5. მომსახურების შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი სამუშაოების შესრულებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.
5.2. 5.1. პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს შესრულებული სამუშაოები ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1. ვადები:
6.1. შესასრულებელი სამუშაოების მიწოდების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.
6.2. ადგილი:
6.2.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე: ქ. წალენჯიხა გამსახურდიას 9

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება „შემსყიდველის“ მიერ მოთხოვნილი მომსახურების გაწევის „მიმწოდებლის“ მიერ ჩაბარების შესაბამისად.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში ეტაპობრივად, მიღება ჩაბარების აქტის შესაბამისად.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.1.1. უზრუნველყოს მისაწოდებელი მომსახურების მიწოდება „შემსყიდველის“ მოთხოვნიდან უმოკლეს ვადაში.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. საჭირო დოკუმენტების „მიმწოდებლის“ მიერ გადაცემის შემდგომ უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულების 8.1. პუნქტის შესაბამისად.

10. მხარეთა უფლებები

10.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
10.1.1. შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.
10.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან

ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

16. ინსპექტირების პირობები

16.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მოწოდებული მომსახურების ინსპექტირება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულებაში მითითებული თარიღიდან და დასტურდება ბეჭდით დამოწმებითა და მხარეთა ხელმოწერებით.

17.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 25 აპრილიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე. არსებული მხარეთა მიერ აღებული (წარმოშობილი) ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (4 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ერთი – "შემსყიდველთან

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის	ი/მ „მარინე ფიფია“
სკოლისგარეშე კომპლექსური	კოდი 51001000305
სასპორტო საგანმანათლებლო–	ა/ა GE31LB0112134211214000
სააღმზრდელო ცენტრი	ლიბერთი ბანკი წალენჯიხის
დირექტორი რ./ჭანია/	ფილიალი
ს/კ 242738739	
ქ.წალენჯიხა გამსახურდიას № 9	